ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2319500

ნომერი: AR1359050

თარიღი : 25.11.2015

გაცემის თარიღი : 30.11.2015

გაცნობის თარიღი : 30.11.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარჯანიშვილი , N 16გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ კაკულია პ/ნ 01008012174
- თბილისი ა.რაზმაძის ქ. N 57 ბ. 3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. N16გ–ში არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრისა და საჩრდილობლის მოწყობის საკითხს.

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ შესაძლებელია მხოლოდ სარეკლამო აბრის მოწყობა უფრო სადა და ჩამქრალ ფერებში, დასაშვებია გაიზარდოს წარწერა და შემცირდეს ფონი.

ამასთან, სამსახურის მიერ საკითხის შესწავლისას წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილი იქნა ხარვეზები, კერძოდ:

1. ფოტომონტაჟზე არ არის მითითებული ნიშნულები და მასალები. ამასთან, არ არის სრულყოფილად მითითებული ზომები;
2. წარმოდგენილი უნდა იქნას არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა შორი და ახლო ხედით. ფოტომასალა სრულყოფილად უნდა ასახავდეს სიტუაციასა და შენობას;
3. გაცნობებთ, რომ "რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის" II თავის მე–4 მუხლის შესაბამისად: "საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე."
"უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას. უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულს (ტრანსლიტერირებულ ფორმას)";

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე.მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.